სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/27

ქ. თბილისი 23 ივნისი 2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგებში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), კარლო კოპალიანის 2021 წლის 14 ივნისის №0000562911 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 23 ივნისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საშტატო განრიგებში ცვლილებები, კერძოდ:

- ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის გამოთვლითი მეთოდების განყოფილებაში: გაუქმდეს კონსულტანტის 1.0 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით - 600 ლარი; ინფორმატიკის განყოფილებაში: გაუქმდეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომელის - 0,5 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით - 315 ლარი და ამავე განყოფილებაში დაემატოს მთავარი მეცნიერ-თანამშრომელის - 0,5 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით - 370 ლარი და მეცნიერ-თანამშრომელის - 0,5

საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით - 260 ლარი; მათემატიკური მოდელირების განყოფილებაში: დაემატოს მეცნიერ-თანამშრომელის - 0,5 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით - 260 ლარი; ხოლო დარჩენილი 80 ლარი დაემატოს სამეურნეო ნაწილის შემდეგ თანამდებობებს და განისაზღვროს: ადმინისტრატორი - 710 ლარით; მთავარი ენერგეტიკოსი - 610 ლარით; ინჟინერ-ტექნიკოსი - 510 ლარით; დამლაგებელის - 3 საშტატო ერთეული, თითოეული - 510 ლარით; დამხმარე მოსამსახურე - 510 ლარით; მეეზოვე - 430 ლარით.

ინსტიტუტის სახელფასო ფონდი გაიზარდოს თვეში 55 ლარით და განისაზღვროს - 31 988 ლარით თვეში, ხოლო საშტატო ერთეულების რაოდენობა დარჩეს უცვლელი - 51,0 ერთეული;

- სენსორული ელექტრონიკისა და მასალათმცოდნეობის სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრის საშტატო განრიგში დაემატოს მთავარი მეცნიერ-თანამშრომელის 1 საშტატო ერთეული სახელფასო განაკვეთით - 800 ლარი.

ცენტრი განისაზღვროს 4,5 საშტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით თვეში - 3 775 ლარი;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**